გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა

care®

CIDA we connect

financed by
Austrian
Development Cooperation

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა

2013

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შემუშავდა პროექტის გუნდისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მხარდაჭერით:

1. **მიხეილ პაკაცოშვილი** – JOIN პროექტის კოორდინატორი, ქეა საერთაშორისო კავკასიაში
2. **ზვიად დევდარიანი** – აღმასრულებელი დირექტორი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
3. **ნინო ჩიტორელიძე** – JOIN პროექტის ოფიცერი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
4. **დავით ჯიჯელავა** – ექსპერტი
5. **ხათუნა მადურაშვილი** – გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ქეა საერთაშორისო კავკასიაში
6. **კახა ბახტაძე** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
7. **ირაკლი ქობალია** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებმაც წვილი შეიტანეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შემუშავებაში:

1. **გულადი ავალიანი** – ფერმერი
2. **ელმან გუსიენოვი** – ფერმერი
3. **ზურა ავალიშვილი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
4. **დიმიტრი ლაზარი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
5. **ნათია მეგრელიშვილი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
6. **მარეხი გოგიძე** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
7. **გიორგი მათიაშვილი** – ადგილობრივი თვითმმართველობა
8. **ლალი ხეიძე** – ადგილობრივი თვითმმართველობა

გარდაბანის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა გამოცემულია პროექტის „ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (JOIN) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მეშვეობით და ხორციელდება CARE ავსტრიის და CARE საერთაშორისო კავკასიის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

სარჩევი

შესავალი **4**

მეთოდოლოგია **5**

პირველი ნაწილი: ზოგადი მიმოხილვა **6**

გეოგრაფიული მდებარეობა 6

კლიმატი 6

ბუნებრივი რესურსები 7

ადამიანური კაპიტალი 9

გენდერი 10

ინფრასტრუქტურა 11

ადგილობრივი ეკონომიკა 12

მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი 13

მეორე ნაწილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი განვითარების ხედვა და პრიორიტეტები **15**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა 15

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები 15

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების პრიორიტეტები 15

მესამე ნაწილი: გარდაბანში წარმოებული ხორცის და ყველის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი **17**

სოფლის მეურნეობის ზოგადი სურათი გარდაბანში 17

ჯიშები და მათი გაუმჯობესება 18

დაავადებები 19

ვეტერინარია/კონსულტაციები 20

ვეტერინარიული აფთიაქები 21

დაავადებების დიაგნოსტიკა 22

პირუტყვის კვება 23

რძის დამზადება 25

ყველის დამზადება 26

ყველის შენახვა 26

რძის და ყველის გაყიდვა 26

ყველის ქარხნები 27

ხორცის წარმოება 27

ფინანსური რესურსები 28

მეოთხე ნაწილი: რძის (ყველის) და ხორცის წარმოება - საკანონმდებლო ანალიზი **30**

ზოგადი საკითხები 30

სურსათის უსაფრთხოება 31

წარმოება 32

გაყიდვები 33

მეხუთე ნაწილი: ინიციატივები გარდაბნის მუნიციპალიტეტში **34**

შესავალი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

გარდაბნის ეკონომიკის ანალიზისას ჯგუფმა რამდენიმე კრიტერიუმით გამოავლინა მუნიციპალიტეტში განვითარებული სექტორები და პრიორიტეტული მიმართულებები. მესაქონლეობის და მემცენარეობის სექტორების ანალიზისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და სექტორში დასაქმებულების, მათ შორის, ქალების რაოდენობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა რძის და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვს. მუშაობის პროცესში ჯგუფმა გააანალიზა:

- რძის და რძის პროდუქტების წარმოებაში, მათ შორის, ჯიშების გაუმჯობესების, დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის, პირუტყვის კვების კუთხით არსებული მდგომარეობა;
- ყველის წარმოების პროცესი და პრობლემები;
- ყველის შენახვის მექანიზმები;
- ხორცის წარმოების პროცესი;
- მწარმოებლების კავშირები საბოლოო ბაზრებთან, მათი სტრუქტურა და გამოწვევები;
- სექტორის დამხმარე სერვისები (ფინანსური რესურსები, მექანიზაცია, სასაკლაოები, ტექნიკური და საბაზრო ინფორმაცია) და მათზე ხელმისაწვდომობა.

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ჯგუფმა გამოავლინა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც გადაჭრის ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილ პრობლემებს და მასში ჩართული ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს გაზრდის.

გეგმა შემუშავებულია „ადგილობრივი აქტორები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში – JOIN“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში. პროექტი დააფინანსა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობამ (ADC).

მეთოდოლოგია

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შესამუშავებლად შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სამი სექტორის – ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის წარმომადგენლები. მათ უნდა შეესწავლათ არსებული მდგომარეობა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო ინიციატივები სხვადასხვა კუთხით შეეფასებინათ.

სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

- შეიქმნა ჯგუფი, რისთვისაც პროექტის გუნდი გარდაბანში წინასწარ შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია;

- ჯგუფის შექმნის შემდეგ წევრებს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის საჭირო უნარების ასამაღლებლად ტრენინგები ჩაუტარდათ, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტში განვითარებული ეკონომიკური სექტორების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად მათ გამოკითხეს ადგილობრივი მოსახლეობა. ჯგუფს მუნიციპალიტეტების ზოგადი პროფილებისთვის ინფორმაციის მოგროვებაში ნაწილობრივ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი დაეხმარა;

- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფმა გამოავლინა პრიორიტეტულ ღირებულებათა ჯაჭვი, რომლის ანალიზში მონაწილეობდა JOIN პროექტის გუნდი. შეიქმნა დამატებითი ფოკუს-ჯგუფები და ჩაიწერა ინტერვიუები;

- გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა განხორციელებაც დადებითად იმოქმედებს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე და მასში ღარიბი მოსახლეობის ჩართულობაზე;

- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა გეგმის საბოლოო ვერსია, რომლის პრეზენტაციაც მუნიციპალიტეტში გაიმართა. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში თემის მონაწილეობას უზრუნველყოფს.

ანალიზის დროს ჯგუფმა გაითვალისწინა გენდერული ასპექტები – ქალებისა და მამაკაცების როლი ღირებულებათა ჯაჭვში და რა გავლენა შეიძლება მისმა განვითარებამ იქონიოს თითოეულ მათგანზე. ამასთან, ანალიზისას ყურადღება გამახვილდა გარემოს დაცვაზე, არსებულ რისკებზე და მათი შემცირების მექანიზმებზე.

პირველი ნაწილი:

ზოგადი მიმოხილვა

გეოგრაფიული მდებარეობა

გარდაბნის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის ქვემო ქართლის მხარის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 310 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, დასავლეთით – თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით – მცხეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთით – აზერბაიჯანი. გარდაბანში, სოფელ ვახტანგისში მდებარეობს სასაზღვრო გამშვები პუქნტი აზერბაიჯანთან, რომელიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან 12 კმ-ით არის დაშორებული.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – გარდაბანი თბილისიდან დაშორებულია 42 კმ-ით, ხოლო რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან, რუსთავიდან – 12 კმ-ით.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 1304,1 კმ^2. მოსახლეობა მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, 2013 წელს 109 572 ადამიანს შეადგენს. მუნიციპალიტეტში 19 ტერიტორიული ერთეული შედის: ქალაქი გარდაბანი, ქესალო, ნაზარლო, გამარჯვება, სართიჭალა, აღთაკლია, ყარათაკლია, ყარაჯალარი, ჯანდარა, კალინინო, კუმისი, მარტყოფი, ახალი სამგორი, თელეთი, ნორიო, ახალი სოფელი, ვახტანგისი, კრწანისი. არსებული ტერიტორიული ერთეულები ერთ ქალაქს და 35 სოფელს აერთიანებს.[1]

კლიმატი

კლიმატურად გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს (მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილი), ზომიერად თბილი სტეპების ჰავის ტიპით, ცხელი ზაფხულით. მუნიციპალიტეტის ჩრდილო პერიფერიაზე წარმოდგენილია ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავის ტიპი, დამახასიათებელი ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით.

საშუალო წლიური ტემპერატურა 6^{0}C და 13.4^{0}C შორის მერყეობს (ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით). წლის უთბილესი თვის საშუალო (ივლისი) ტემპერატურა 25^{0}C-ია. აბსოლუტური მაქსიმუმი 41^{0}C. იანვრის საშუალო ტემპერატურა (წლის ყველაზე ცივი თვე) 0.8-1.4^{0}C. აბსოლუტური მინიმუმი -25^{0}C. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა – 2,5^{0}0 სთ-ზე მეტი.

ნალექების წლიური ჯამია 400-500 მმ. ნალექების მაქსიმუმი მაისშია, მინიმუმი კი – დეკემბერში. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 4-6 მ/წმ-ს უდრის. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 4.

ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი საფრთხეებიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია მეწყრული პროცესები, ღვარცოფული მოვლენები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები. მუნიციპალიტეტში აქტიურია ზედაპირული ეროზიული მოვლენები, რაც აქტიურ დახრამვით პროცესებში ვლინდება.

1 გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მეწყრული პროცესებიდან, პროცესის სიმძლავრიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, აღსანიშნავია სოფ. კუმისის დასავლეთით განვითარებული, აქტიური დინამიკის მქონე მეწყრული სხეულები. პროცესის შედეგად მაღალი საფრთხის ქვეშაა მოქცეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები.[2]

აღნიშნულის გარდა მუნიციპალიტეტს ახასათებს გვალვები და ქარიშხლები. ასევე, ძლიერი წვიმები, რასაც ხშირ შემთხვევაში თან სდევს უეცარი წყალმოვარდნები და ღვარცოფები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ზიანდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ინფრასტრუქტურა (ამ მოვლენების შედეგად უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დაზარალდა სოფლები – მარტყოფი, სართიჭალა, ნორიო, ფოლადაანთკარი, აღთაკლია, ყარათაკლია, ყარაჯალარი[3]).

ბუნებრივი რესურსები

მიწის რესურსი

გარდაბნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წაბლა ნიადაგი. ტაფობებში გვხვდება დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგი, მდინარე მტკვრის გასწვრივ კი არის ალუვიური ნიადაგები. სამგორის ვაკეზე ჭარბობს რუხი ყავისფერი ნიადაგები. განვითარებულია ასევე შავმიწისებრი და ბიცობიანი ნიადაგები. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთისწინეთებში ტყის ყავისფერი და მდელოს ყავისფერი ნიადაგებია. ქედების თხემები და მწვერვალები მეორეული მთის მდელოს ნიადაგებს უჭირავს. ტბისპირა ზოლში გვხვდება ჭაობისა და მლაშობის ნიადაგები. ქარისმიერი გამოფიტვები ხშირია სართიჭალისა და ნორიო-მარტყოფის ტერიტორიაზე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

- ტერასული ვაკე ჯაგ-ეკლიანი ვაციწვერიან ურროიანი და ავშნიან ნაირბალახოვანი მცენარეულობით დაფარული წაბლა, ყავისფერი, დამლაშებული ნიადაგები;
- ბორცვიანი ვაკე ჯაგრცხილნარით და ჯაგეკლიან სტეპური მცენარეულობით დაფარული, წაბლა, შავმიწა და ტყის ყავისფერი ნიადაგები;
- ნახევარუდაბნოს მშრალი სტეპური (ვაკეებზე, ზეგნებზე) ლანდშაფტი;
  მთა ტყისა და მთა მდელოს და ტყის ყავისფერი ნიადაგები.

წყლის რესურსი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდინარეებს მოკლებულია, ტერიტორიის უდიდეს ნაწილში გვხვდება პერიოდული ხასიათის მდინარეები. ჩრდილოეთში აღსანიშნავია მდინარე ლოჭინი (სიგრძე 30 კმ), რომელიც იქმნება ნორიოსხევისა და მარტყოფისხევის შეერთებით. სათავეს იღებს იალნოს ქედის სამხრეთ კალთაზე ზღვის დონიდან 1085 მ-ზე. საზრდოობს თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა კი – ზამთარში. ეს მდინარე მტკვრის შენაკადია. იყენებენ სარწყავად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდინარეები მტკვარი და იორი, ეს უკანასკნელი წარმოადგენს საზღვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტთან.

---

2 საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო გარემოს ეროვნული სააგენტო გეოლოგიური საშიშროებების მართვის დეპარტამენტი. საინფორმაციო ბიულეტენი – „საქართველოში 2012 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2013 წლისთვის“. თბილისი - 2013

3 http://nala.ge/uploads/gardabani.pdf

მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ასევე მდინარე არხაშენი, რომელიც სათავეს იღებს ამავე სახელწოდების ქედზე და ჩაედინება ჯანდარის ტბაში.

იაღლუჯის მაღლობსა და წალასყურის ვაკეს შორის მდებარეობს კუმისის ტბა. საზრდოობს წვიმის წყლითა და მცირე ნაკადულებით. მტკვრის მარცხენა მხარეს საკმაოდ მოზრდილ ტაფობში მდებარეობს ჯანდარის ტბა, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და 50 კმ-ით არის მოშორებული ქალაქს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს ასევე სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრალური სარწყავი არხები.

მუნიციპალიტეტს არა აქვს სასმელი წყლის რესურსი, რის გამოც წყლით რუსთავიდან მარაგდება. თუმცა, ნორიოს, მარტყოფისა და სართიჭალის მოსახლეობა არტეზიული ჭებით სარგებლობს, ხოლო თელეთისა და კუმისის მოსახლეობა – ბუნებრივი ჭებით.

ტყის რესურსი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყეებს 23 369 ჰა მიწის ფართობი უკავია. სატყეო-სამონადირეო მეურნეობა 3 400 ჰა მიწის ფართობზეა. არსებული ტყეების ტიპი არამერქნულია და, ძირითადად, შეშის დასამზადებლად იყენებენ. ტყე მოუვლელია, ბევრგან გამეჩხერებული და მეტ ყურადღებასა და მოვლას საჭიროებს. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს აღკვეთილი, რომელიც საქართველოს დაცული ტერიტორიების ნუსხაშია და 3315 ჰა ფართობი უკავია.

სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა გულისხმობს ტყის ფონდის გამოყენებას მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად, სათიბად, საძოვრად, საფუტკრისა და საქონლის დროებითი სადგომების მოსაწყობად, ტყის ფონდში არსებული ბაღებითა და ვენახებით სარგებლობას. აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც არ აზიანებს აღმონაცენ-მოზარდს, არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს. სასოფლო-სამეურნეო მიზნით გაცემულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ დროებითი ნაგებობის მოწყობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 57). ტყითსარგებლობის წესის მიხედვით, ტყის ფონდის სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ტარდება აუქციონი (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 45).

დაცული ტერიტორიები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია გარდაბნის აღკვეთილი, რაც ამ ტერიტორიაზე რესურსთსარგებლობის განსაკუთრებულ წესებს აყალიბებს. გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირება რეგულირდება საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 6 დეკემბერის №53 ბრძანებით – ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანების მიხედვით გარდაბნის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაიშვება არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა. სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არა უმეტეს 53 საშეშე მერქანი),

ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით ხვნა-თესვა და საკვებური მოედნების მოწყობა, თიბვა, საფუტკრეების მოწყობა, სადაც სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1,000 ძირს (ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 74).

მინერალური რესურსი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ნორიოსა და სამგორის ტერიტორიაზე მდებარეობს ნავთობის საბადოები. აქ მოპოვებული ნავთობის ხარისხი მაღალია (მსუბუქია და გოგირდის მცირე რაოდენობას შეიცავს). ვარაუდობენ, რომ ამ ნავთობიან რაიონებში პერსპექტიულია პალეოგენური და მეზოზოური ტერიგენული დანალექები, რომლებიც დღემდე არასაკმარისად არის შესწავლილი*.

ადამიანური კაპიტალი

მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მდგომარეობით, გარდაბნის მოსახლეობა შეადგენს 109 572 ადამიანს, აქედან 52 575 მამაკაცია, ხოლო 56 997 – ქალი. მოსახლეობის 14% ქ. გარდაბანში ცხოვრობს, ხოლო 86 % სოფლებშია გადანაწილებული.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართველია (52,1%), აზერბაიჯანელები მოსახლეობის 46,5% შეადგენენ, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა არის: რუსი, ბერძენი და სხვა ეროვნების – 1,4%. გარდაბნის მცხოვრებთა უმრავლესობა, ძირითადად, ეთნიკურად ქართველი ქრისტიანია, შემდეგ მოდის მაჰმადიანი მოსახლეობა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

დიაგრამა 1: გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



მუნიციპალიტეტში 15 წელს ზემოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 29,1% დასაქმებულია. მათ შორის 44,1% მუშაობს საკუთარ მიწაზე, 4,1%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი, 39,3% მუშაობს ანაზღაურებით, 12,5% – სხვადასხვა დარგებში. მუნიციპალიტეტში უმუშევრობის დონე 38,5%-ია. 4,088 ადამიანი იღებს საარსებო შემწეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

4 http://moe.gov.ge/files/kanonmdebloba/Brdzanebebi/6_brdzaneba.pdf

* გარდაბნის რუკა, იხ. გვ. 36

ცხრილი 1: გარდაბნის მუნიციპალიტეტის და ქვემო ქართლის დასაქმების სტატისტიკა[5]

მუნიციპალიტეტი	დასაქმებულთა წილი 15 წ-ზე უფროს მოსახლეობაში(%)	აქვს საკუთარი ბიზნესი	მუშაობს ანაზღაურებით	მუშაობს საკუთარ მიწაზე	სხვა	უმუშევრობის დონე
გარდაბანი	29.1	4.1	39.3	44.1	12.5	38.5
ქვემო ქართლი	43.7	4.1	35.7	42.5	17.6	26.1

გენდერი

საქართველოში, ზოგადად, მიჩნეულია, რომ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია რამდენიმე კუთხით. ქვეყანაში არსებული კულტურა და ტრადიციები განაპირობებს, რომ ოჯახში, ხშირად, საქმიანობები გადანაწილებულია გენდერული პრინციპით – „სახლის გარეთ“ აქტივობები, როგორიცაა მოლაპარაკებები ტექნიკის ან სასუქების მიმწოდებლებთან, მოსავლის გაყიდვა და ყანის მოვლა, მამაკაცის პრეროგატივად ითვლება. ქალებს კი „შინაური საქმეები“ აბარიათ – სახლის/ეზოს მოვლა, საჭმლის მომზადება, რეცხვა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მძიმე სამუშაოებს, ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ – მაგალითად, მძიმე ტომრების გადატანა – როგორც წესი, კარტოფილის ან პომიდვრის მოსავლის აღებაზე ქალები მუშაობენ, რაც დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. სოფლად არსებული საქმეების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, ქალებს საშუალოდ უწევთ უფრო მეტი დროის დახარჯვა საქმეებზე, ვიდრე მამაკაცებს, რადგან „სახლის გარეთა“ აქტივობები უფრო მცირეა, ვიდრე „საშინაო საქმეები“.[6]

„საშინაო“ და „საგარეო“ საქმეების გარდა, არსებობს, ასევე, „მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ საქმეებიც. „მნიშვნელოვან“ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, ძირითადად კაცები იღებენ, ქალები კი – „ნაკლებად მნიშვნელოვან“ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა, მაგალითად, საკვების მომზადება და ბავშვების მოვლა. რეალურად, გამოდის, რომ სწორედ ქალები წყვეტენ ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რადგან ტექნიკის ან საქონლის შეძენა ადგილობრივი ფერმერებისთვის არ არის ხშირი მოვლენა. ოჯახის სახარჯო ბიუჯეტი, ძირითადი მოხმარების საგნების საყიდლად, ქალების განკარგულებაშია. თუმცა, „ოჯახის უფროსის“ ტიტული მაინც მამაკაცებს ეკუთვნით.[7]

სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში ქალების როლი და პასუხისმგებლობები საკმაოდ ლიმიტირებულია, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი. ტექნიკის დაქირავების ან მოსავლის გაყიდვის პროცესს, როგორც წესი, მამაკაცები წარმართავენ. თუმცა მოსავლის აღების, მაგალითად, კარტოფილის ამოღების სამუშაოებში, ქალები ხშირად არიან ჩართულნი. მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგების და დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ქალთა როლის გაზრდის პოტენციალი სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში. მაგალითად, ქალთა ნაწილს სურს, დაეუფლოს იმ ტექნიკური საშუალების მართვას, რაზეც მოთხოვნა არსებობს მუნიციპალიტეტებში. მართალია, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირი ენთუზიაზმით არ შეხვედრია მსგავს ინიციატივებს, მაგრამ შეიქმნა მსგავსი შესაძლებლობის განხილვის პრეცედენტი. ამ კუთხით ქალების როლის ზრდა მცირედით მაინც დააბალანსებს გენდერულ როლებს.

5 პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში
6 ქეა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში
7 ქეა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

საქართველოში არსებობს საკამოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა გენდერული თანასწორობის კუთხით. 2010 წელს მიიღეს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რის შემდეგაც დამტკიცდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა. ასევე, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება იმსჯელონ მიმდინარე გენდერულ საკითხებზე და მიიღონ გადაწყვეტილებები. თუმცა, პრობლემად რჩება არსებული კანონების და ნორმების აღსრულება. დამკვიდრებული კულტურული სტერეოტიპები და გენდერული როლები, პრაქტიკულად, არ იცვლება. ასევე, ხშირად სხვადასხვა ცნობადი სახეები ცდილობენ გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ძალიან ცოტაა შანსი, რომ გენდერული როლები გათანაბრდეს.

ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში ცენტრალური გზა მოასფალტებულია, შიდა გზები – სარეაბილიტაციო, სოფლებში მისასვლელი გზები კი შესაკეთებელი და მოსახრეშია. აღსადგენია, აგრეთვე, ხიდები. შეკეთდა სოფ. მარტყოფში არსებული ხიდი. აიგო სოფ. ნორიოს გადასასვლელი ხიდი.

სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტს სასმელი წყლით ქ. რუსთავიდან შპს „რუსთავწყალი“ ამარაგებს. მოსახლეობას წყალი მიეწოდება საათობრივად – 9 საათით დღე-ღამის განმავლობაში. სისტემის 80% სარეაბილიტაციოა. სოფლებში საჭიროა წყლის ახალი მილსადენების გაყვანა. მთლიანად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 4514 აბონენტია აღრიცხული. 7 ტერიტორიული ერთეული სრულად გამრიცხველიანებულია და მიეწოდება სასმელი წყალი, 2 თემში მრიცხველები ნაწილობრივ არის დამონტაჟებული, ხოლო 10 თემი სისტემაში საერთოდ არ არის ჩართული.

ბუნებრივი აირით მომარაგება

მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის მიწოდების მომსახურებას „სოკარგაზ“-ი უზრუნველყოფს და ამ დრომდე 14 178 აბონენტს ემსახურება. თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორია სრულად არ არის დაფარული შესაბამისი ინფრასტრუქტურით და დაახლოებით 10 თემში ბუნებრივი აირი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. 2 თემს ბუნებრივი აირი მიეწოდება ნაწილობრივ, ხოლო 7 ტერიტორიულ ერთეულს – სრულად.

ელექტროენერგიით მომარაგება

მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებს ელექტროენერგიით „ენერგო პრო ჯორჯია“ უზრუნველყოფს. მთლიანად გარდაბნის მუნიციპალიტეტში 27 500 აბონენტია აღრიცხული და მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა სარგებლობს ელექტროენერგიით.

ნარჩენების მართვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთი ოფიციალური და 8 არალეგალური ნაგავსაყრელია. ოფიციალური ნაგავსაყრელიდან ნარჩენები რეგულარულად გააქვს მუნიციპალური ცენტრიდან თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კერძო კომპანიას, რომელიც 6 თვეში ერთხელ აუვნებელყოფს ტერიტორიას. სოფლის მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო ნარჩენები არ გააქვთ ორგანიზებულად და მოსახლეობა სტიქიურად, მიმდებარე ტერიტორიაზე ყრის ნაგავს, შესაბამისად, არალეგალური ნაგავსაყრელები უკონტროლოა და დასუფთავება სჭირდება.[8]

8 გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საირიგაციო სისტემების ინფრასტრუქტურა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში საირიგაციო სამუშაოებს შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“ ასრულებს. საირიგაციო სისტემის სარწყავი არხების 500 კმ (90%) გასაწმენდია შლამისაგან, ასევე, სარეაბილიტაციოა მთლიანი ინფრასტრუქტურა.

ცხრილი 2: სარწყავი სისტემები გარდაბნის მუნიციპალიტეტში

სარწყავი სისტემები				
დასახელება	**სიგრძე**	**სარწყავის ტიპი**	**მორწყვის პოტენციალი**	**რეალური მაჩვენებელი**
მაგისტრალური სარწყავი არხი	348,5კმ	თვითდინებით	17,000 ჰა	8,000 ჰა
შიდა ქსელები (სამეურნეო)	511,5კმ	თვითდინებით		

ადგილობრივი ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი 58 154 ჰექტარია. მათ შორის: სახნავი ფართობი არის 33 167 ჰა, სათიბი – 2 084 ჰა, საძოვრები – 18 845 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 4 058 ჰა.

2012 შემოდგომასა და 2013 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტში 9 455 ჰა მიწის ფართობი მოიხნა. დათესილ მარცვლეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი წილი სიმინდისაა და 2013 წლისთვის 3660.5 ჰა შეადგინა, ხორბალი 1411.5 ჰა-ზე დაითესა, ხოლო ქერი – 1093 ჰა.ზე. ბოსტნეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი ნათესი ფართობი 390.5 ჰა მწვანილზე მოდის.[9]

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა (მსხვილფეხა და წვრილფეხა) და მემინდვრეობა.

მეცხოველეობაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 80%-ია ჩართული და დაკავებულია როგორც რძისა და რძის ნაწარმის, ასევე ხორცის წარმოებით. ერთ ფურზე მოწველილი რძის წლიური რაოდენობა საშუალოდ 1,500 ლიტრია. სწორად მოვლისა და კვების პირობებში შესაძლებელია მისი 2,500 ლ-მდე გაზრდა. ბუნებრივი პირობებისა და საძოვრების მცირე ფართობების გამო მწარმოებლები საზაფხულო საძოვრებად წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ფართობებს იყენებენ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის 2013 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 32 000 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია აღრიცხული, ძირითადად, ადგილობრივი და კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხები, რომელთა პროდუქტიულობა ლაქტაციის პერიოდში 1200-1500 ლიტრი რძეა. მუნიციპლაიტეტიში 35 000 ცხვარიცაა აღწერილი.

მემინდვრეობაში უპირატესად განვითარებულია მარცვლეული, აგრეთვე, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება. ძირითადი კულტურებია სიმინდი, ქერი და ხორბალი, რასაც მწარმოებლები, ერთი მხრივ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებად იყენებენ და მეორე მხრივ, კომბინირებული

9 გარდაბნის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

საკვების დასამზადებლად და დაინტერესებულ პირებზე გასაყიდად. ხორბლის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე საშუალოდ 2,500-2,700 კგ-ია.

მებოსტნეობაში, ძირითადად, პომიდორს, კიტრს, ბადრიჯანს, წიწაკასა და სტაფილოს აწარმოებენ. ამ პროდუქციის რეალიზაცია ხდება სტიქიურად, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზე. განსაკუთრებით დიდი ფართობი უკავია მწვანილს, რაც მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული წარმოებაა და აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ქალქებს – თბილისს, რუსთავს და სხვას – ამარაგებს.

საწარმოები

მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია მეფრინველეობის მცირე, ასევე, მსხვილი წარმადობის საწარმოები. კუმისის, სამგორისა და კრწანისის საწარმოები კვერცხსა და ქათმის ხორცს მთელი ქვეყნის მასშტაბით ყიდიან.

მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• გეოგრაფიული მდებარეობა • კარგი საწყისი პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის	• წყლის და გზის ინფრასტრუქტურა • ტექნიკის და აგრეგატების არასაკმარისობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა, რომელიც იძლევა ბაზრების გაფართოების საშუალებას	• ნიადაგის გამოფიტვის საშიშროება • სტიქიური უბედურება • მაღალი საპროცენტო განაკვეთები საბანკო მომსახურებაზე

ძლიერი მხარეები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მდებარეობა ძალიან მოსახერხებელია როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სხვა სექტორების განვითარებისთვის. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან აზერბაიჯანის საზღვარი სულ რაღაც 12 კილომეტრშია. ასევე საკმაოდ ახლოა სომხეთის საზღვარიც. გარდაბნის ეკონომიკური აქტივობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი დიდი ნაწილი ესაზღვრება რუსთავსა და თბილისს.

გასაღების ბაზრების სიახლოვის გამო, გარდაბანში ტრადიციულად იყო გავრცელებული სოფლის მეურნეობა. დღესდღეობითაც, მუნიციპალიტეტში მუშაობს რამდენიმე მსხვილი კომპანია, განსაკუთრებით მეფრინველეობის კუთხით.

გარდაბანში საკმაოდ კარგი ბუნებრივი კლიმატია მოსავლის რამდენიმეჯერ მოსაყვანად. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მუნიციპალიტეტში კარგი საწყისი პირობებია შექმნილი.

სუსტი მხარეები

ცენტრალური გზა მუნიციპალიტეტში მოასფალტებულია, მაგრამ შიდა და სოფლებში მისასვლელი გზები შეკეთებას საჭიროებს. ზოგიერთი გზა არ არის მოხრეშილი, რაც ართულებს სოფლებამდე მიღწევას.

ასევე პრობლემურია როგორც საირიგაციო, ისე სასმელი წყლით მომარაგებაც. მოსახლეობის დიდ ნაწილს წყალი მიეწოდება გრაფიკით. სისტემის 80%-ს რეაბილიტაცია სჭირდება.

შესაძლებლობები

გარდაბანი არის საქართველოში ყველაზე დიდი ბაზრის, თბილისის მოსაზღვრე რეგიონი. თუმცა, აზერბაიჯანთან და სომხეთთან სიახლოვე ადგილობრივი მწარმოებლებისთვის უფრო მეტ სავაჭრო შესაძლებლობას ხსნის.

საფრთხეები

საფრთხეების მხრივ, მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები. ნიადაგსაფარის მთავარი პრობლემა მისი გამოფიტვა და სხვადასხვა ნივთიერებებით დაბინძურებაა.

სამუშაო ჯგუფის ანალიზით, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა შეიძლება იყოს სხვადასხვა სტიქიური მოვლენა, როგორიცაა წყალდიდობა ან სეტყვა. სოფლის მეურნეობის მოსავალი დაუზღვეველია, ამიტომ ფერმერების სტიქიური მოვლენებისგან დაზარალების რისკი მნიშვნელოვნად მაღალია.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სერიოზულ დაბრკოლებად შეიძლება იქცეს კრედიტების ხელმისაწვდომობის სიმწირე მუნიციპალიტეტში. მცირე, დაბალპროცენტიანი სოფლის მეურნეობის სესხების აღება ძალიან რთულია. ამიტომ, მოსახლეობას ხშირად უწევს სამომხმარებლო სესხების გამოტანა, რომელთა საპროცენტო განაკვეთები დაახლოებით 20%-ია.

მეორე ნაწილი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და პრიორიტეტები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების მოცემული ხედვა და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს სამომავლო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის, აღნიშნული კი ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული ფერმერული მეურნეობების განვითარებას და ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს და გაუმჯობესებს მათ სოციალურ მდგომარეობას.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს მუნიციპალიტეტის მომავლის კონცეფცია, რომელიც აღწერს, თუ როგორი იქნება მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობის მდგომარეობა მომავალში (ჩვეულებისამებრ, 3-4 წლის შემდეგ).

ხედვა: თუკი გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფეროში დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები და მოიზიდავენ ინვესტიციებს, ადგილობრივ ბაზარზე გაიზრდება ამ სფეროში პროდუქციის წარმოების მასშტაბები, რაც გაუმჯობესებს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონეს 2016 წლისთვის.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები

გარდაბნის მუნიციპალიტეტში გამართული სამუშაო შეხვედრებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით შესაძლებელი გახდა ადგილობრივი ბაზრის განვითარებისთვის კონკრეტული მიზნების დასახვა.

მთავარი მიზნები ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგებზე, მაგრამ მათ ხედვასთან შედარებით მაინც აღწერითი ხასიათი აქვთ:

- სოფლის მეურნეობის დარგის (მეცხოველეობის) განვითარებით ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისათვის (მცირე და საშუალო საწარმოები) სათანადო პირობების შექმნით და წახალისებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების პრიორიტეტები

ხედვის და ზოგადი მიზნების განსაზღვრის შემდეგ გარდაბნის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ადგილობრივი ბაზრის განვითარების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტები დაიყო პირველი და მეორე რიგის პრიორიტეტებად. პრიორიტეტული მიმართულებები დაეყრდნო SWOT ანალიზს, მუნიციპალიტეტის პროფილს, ხედვასა და ზოგადი მიზნებს.

პირველი რიგის პრიორიტეტები

- **აგრო-განათლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** აუცილებელია, ფერმერებს ჰქონდეთ სოფლის მეურნეობის შესაბამისი განათლება, რომ სწორად დაგეგმონ საწარმოო პროცესი. ფერმერებმა ხშირად არ იციან საქონლის მოვლის, ხორცის და რძის შენახვის/დამუშავების დადგენილი წესები. მათ, ასევე, არა აქვთ ინფორმაცია პოტენციური ბაზრების და ფასების დინამიკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში მცირეა პროფესიონალების რაოდენობა, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის ფერმერებს. ამიტომ ვეტერინარების და აგრონომების მომზადება მნიშვნელოვანი ამოცანაა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

- **ინვესტიციების მოზიდვა.** მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების (რძის და ხორცის) გადამამუშავებელი საწარმოების და სასაწყობე სამაცივრე მეურნეობების შესაქმნელად.

მეორე რიგის პრიორიტეტები

- **ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება.** აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრებთან სიახლოვე, განვითარებადი ინფრასტრუქტურა და ინფორმაციის გაცვლის არხები ხელს უწყობს ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობას. შესაბამად, შესაძლებელია ფოკუსირება სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საინფორმაციო კომპონენტი – დაინტერესებული ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია – რა მოთხოვნაა გარდაბნის მუნიციპალიტეტში წარმოებულ პროდუქტებზე (ხორცის და რძის პროდუქტები, მცენარეები), კარტოფილზე საზღვრის იქითა მხარეს რა ფასებია, რა ღირს სასუქები და პესტიციდები და ა. შ.

- **ჯიშების გაუმჯობესება.** გარდაბნის მუნიციპალიტეტის პოტენციალის განვითარებისთვის ყველაზე მთავარ მიმართულებად სამუშაო ჯგუფმა ხორცისა და ყველის წარმოება შეარჩია. ამიტომ, მნიშვნელოვანია საქონლის ჯიშების გაუმჯობესება ხორცის და ყველის უფრო ხარისხიანი და ეფექტიანი წარმოებისთვის.

- **საინვესტიციო პაკეტების მომზადება.** მუნიციპალიტეტმა საინვესტიციო პაკეტები რომ მოამზადოს, ადგილობრივ დონეზე უნდა მოიძიოს ინფორმაცია, რომელიც ხშირად, არ გააჩნია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. საკმაოდ პროდუქტიული შეიძლება აღმოჩნდეს ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივა, ახალი იდეები შესთავაზოს ინვესტორებს.

მესამე ნაწილი:

გარდაბანში წარმოებული ხორცის და ყველის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

სოფლის მეურნეობის ზოგადი სურათი გარდაბანში

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულება მესაქონლეობაა. ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებით, 2012 წელს მუნიციპალიტეტში 45,000-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აღირიცხა. საშუალო წველადობამ წლის განმავლობაში 1 სულზე 0.8-1.2 ტონა შეადგინა.

ამ დარგის განვითარებას განაპირობებს ადგილობრივი კლიმატური პირობები, მაღალი მოთხოვნა ხორცზე და მესაქონლეობის სხვა პროდუქტებზე, ფასები, გასაღების ბაზრების სიახლოვე (ქ. რუსთავი 10-15 კმ-შია, თბილისი კი – 42-58 კმ-ში), სოფლებთან დამაკავშირებელი გზების არსებობა და ისიც, რომ, მესაქონლეობა ამ ზონისთვის ტრადიციული დარგია. გარდაბნის ტერიტორია ყოველთვის მოიცავდა მნიშვნელოვან საძოვარ და სათიბ ფართობებს, რომლებიც ბოლო დროს ძალიან შემცირდა. ამის მიზეზებია:

- მას შემდეგ, რაც მოიშალა სარწყავი სისტემები, სათიბ-საძოვრების თითქმის 80% მხოლოდ უხვნალექიანობის დროს გამოიყენება. გვალვისას, რაც რეგიონში ხშირი მოვლენაა, საძოვრებზე ბალახი უკვე ივნისის დასაწყისიდან ხმება.
- ბევრ სოფელში ნიადაგი გამლაშებულია და ბალახის საფარი ღარიბია და არაფერი კეთდება მის გასაუმჯობესებლად;
- ზოგ სოფელს ჩამოერთვა საძოვრები.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალფეროვანია, მაგრამ, ძირითადად, სოფლებში ერთი ეროვნების ან ერთი კუთხის მოსახლეობა ცხოვრობს. მათ შიდა მეურნეობებს მეცხოველეობის კუთხით ხშირად განსაზღვრავს ეროვნული ან კუთხური ტრადიციები. მაგალითად, სოფლებში (ქესალო, ნაზარლო, ყარათაკლია, ახტაკლია, კალინინო, ბირლიკი, ჯანდარი), სადაც თითქმის 100% აზერბაიჯანელი მოსახლეობაა, მეცხოველეობის ძირითადი მიმართულება ხორცის წარმოებაა (80%-მდე), ხოლო რძის (ყველის) წარმოება ძირითადად თანმდევი დარგია; იმ სოფლებში კი (ლემშვენიერა, მზიანეთი, ლელაშხა და სხვ.), სადაც, ძირითადად, სვანეთიდან ეკომიგრანტები ცხოვრობენ, სულგუნს აწარმოებენ (80-90%), აქ ხორცის წარმოება თანმდევი დარგია; არის სოფლები (ახალი სამგორი, გამარჯვება და სხვ.), სადაც ტრადიციულად აწარმოებენ მაწონსა და რძეს.

საქართველოს ბაზრებსა და ბაზრობებზე მუდამ დიდი მოთხოვნით სარგებლობს ე. წ. „სვანური სულგუნი“, რომელიც მაღალი საგემოვნო და სხვა ორგანოლეფტიკური თვისებებით ხასიათდება და მისი ფასი ყოველთვის მაღალია (9-10 ლარი ზაფხულში და 12-14 ლარი ზამთარში). ამის გამო ფერმერები ხშირად, ზრდიან მეწველი ფურების სულადობას და არ არიან ორიენტირებულნი პროდუქტიულობის ზრდაზე. ფერმერთა თითქმის არცერთ მცირე მეურნეობაში (მცირე გამონაკლისის გარდა – CDI პროექტის ბენეფიციარები), არ აწარმოებენ რეგულარულ ხარჯთაღრიცხვას. საკუთარ

შრომას საერთოდ არ მოიაზრებენ ხარჯებად, არ ადგენენ მოგება-ზარალის უწყისს და თუ ზოგიერთ შემთხვევაში ითვლიან შემოსავალს, თითქმის არასოდეს – სუფთა მოგებას.

მიუხედავად იმისა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის დარგი განვითარებულია, აქაც არსებობს უამრავი პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე გარდაბნის მესაქონლეობისათვის და პირდაპირ მოქმედებს პირუტყვის პროდუქტიულობაზე, შესაბამისად, ყველის და რძის ფასის წარმოქმნაზეც. საყოველთაო პრობლემაა ის, რომ ხშირად ფერმერებმა არ იციან საქონლის კვების, მოვლა-პატრონობის, სანიტარიული ნორმების დაცვით რძის წარმოებისა და გადამუშავების ელემენტარული წესები. ქვემოთ განვიხილავთ მესაქონლეობის გაძღოლის სისტემის ზოგიერთ ასპექტს, არსებულ სირთულეებს და შევეცდებით ვაჩვენოთ ფერმერებს, როგორაა შესაძლებელი არსებულ პირობებში, ადგილობრივ რესურსებზე მცირე დამატებითი დანახარჯებით საქონლის პროდუქტიულობის ამაღლება.

ჯიშები და მათი გაუმჯობესება

გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებობს რამდენიმე კერძო მცირე და საშუალო მეურნეობა, სადაც ჰყავთ ახლად შემოყვანილი, მაღალპროდუქტიული, შვიცის ჯიშის ფურები, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის საქონლის აბსოლუტური უმრავლესობა კავკასიური წაბლას ჰიბრიდია. თუმცა არსებული პირუტყვიც, გარდა სასუქად დაყენებული მოზვრებისა, არასაკმარისი კვების და არასწორი მოვლის პირობებში, პროდუქტიულობის გენეტიკურ პოტენციალს ვერ აღწევს.

ფერმერების თქმით, მუნიციპალიტეტის აგრარულ ბაზარზე შესაძლებელია უცხოური (ჰოლანდიური, შვეიცარიული) ჯიშის საქონლის შეძენა (ძირითადად ხბოების), რომელიც გამოირჩევა მაღალი წველადობით. თუმცა მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა, რომ ასეთი საქონელი ბაგურ კვებაზე ჰყავდეთ და ფერმერებმა საძოვრებზე არ ატარონ, რაც სათიბების სიმწირისას რთული შესასრულებელია. ფერმერების ინფორმაციით, ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, რომლებიც გარემოსთან უკეთ ადაპტირებულები არიან, უცხოური ჯიშები ხშირად ავადდებიან. მაღალია ასეთი ჯიშის ხბოს ფასი, რომელიც კავკასიურ ჯიშებს რამდენჯერმე აღემატება. ამ მიზეზების გამო ფერმერებში უფრო პოპულარულია ადგილობრივი ჯიშები. ბევრი ფერმერი ცდილობს შეინარჩუნოს ან შეიძინოს ე. წ. კარგი ძროხები, ანუ ადგილობრივი ფურები, რომელთა წველადობა შედარებით მაღალია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია და ზოგიერთი მათგანი საქონლის ხელოვნური განაყოფიერების პროგრამას ახორციელებდა. ასეთი პროგრამის ფარგლებში, 2006 წელს ჩამოყალიბდა ხელოვნური განაყოფიერების წერტილი სოფელ კუმისში. რადგანაც ამ სერვისზე მოთხოვნილება დიდი არ იყო და ფასებიც მაღალი იყო, დღეისათვის ეს ცენტრი არ ფუნქციონირებს.

პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი ფართოდ ვერ დაინერგა შემდეგი მიზეზების გამო:

1. ადგილობრივმა მოსახლეობამ ცოტა რამ იცის ამ მეთოდის შესახებ, მის უპირატესობასა და დადებით მხარეებზე, შესაბამისად, მეთოდიკის დანერგვას და ფართოდ გავრცელებას ხელს უშლიდა მოსახლეობის უნდობლობა და ცრურწმენა, რომ განაყოფიერებული ფურები დაიღუპებიან მოგების დროს დიდი ზომის ნაყოფის გამო. თუმცა გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფურების ზომა, ცოცხალი მასა (350 კგ-ს ზევით), ნორმალური შეხორცება და ექსტერიერი

იძლევა ხელოვნური განაყოფიერების პროგრამის წარმატებით დანერგვის და გავრცელების შესაძლებლობას.

2. პროგრამები (ჰუმანიტარული აქცია ან 50% დაფინანსებით), ჩვეულებრივ, 1-2 წელი მიმდინარეობდა. თუმცა მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად საჭიროა ფართომასშტაბიანი განაყოფიერება მინიმუმ 8 წელი გრძელდებოდეს (მესამე თაობის ჰიბრიდის მიღებამდე).
3. სოფლებში და მთიან საძოვრებზე, როგორც წესი, ერთდროულად ერთ ჯოგში (ნახირში) არიან დაუკოდავი ბუღები, მოზარდი დეკეულები, მოზვრები, ხბორები და ფურები. ამ პირობებში კი, ხელოვნური განაყოფიერება მეტად რთულდება;
4. სპეციალისტების მცირე რაოდენობა;
5. ფინანსური ხარჯები, რომლებსაც ფერმერები ხშირად ერიდებიან;
6. არ არსებობს პირუტყვის ნუმერაციის/იდენტიფიკაციის სისტემა. 2012 წელს იყო მისი ამუშავების მცდელობა, მაგრამ დღეისათვის რეგულარულად არ ტარდება;
7. მუნიციპალიტეტში არ არსებობს თანამედროვე ვეტლაბორატორიები;
8. არ არსებობს პირუტყვის დაზღვევა;
9. მოსახლეობამ არ იცის ახალშობილი ხბოს სწორი მოვლა-შენახვა;
10. პროფილაქტიკური ვეტღონისძიებები არარეგულარულად და არასაკმარისად ტარდება.
    ამასთან, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში არის იმის პირობები, რომ ფართოდ დაინერგოს და გავრცელდეს ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი.

დაავადებები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, გავრცელებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბევრი დაავადება: ინფექციური, ინვაზიური, არა გადამდები და სხვ. დაავადებების გაჩენა-გავრცელებას ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ გაზაფხულიდან გარდაბნის ტერიტორიიდან იწყება საქონლის მასობრივი გადარეკვა მაღალმთიან საზაფხულო იალაღებზე წალკის და დმანისის რაიონებში, შემოდგომით კი პირუტყვს უკან აბრუნებენ. ზოგჯერ მფლობელები საკუთარ პირუტყვს მეზობელი სოფლებიდან ნაცნობებს ატანენ მთაში და ამ შემთხვევაში მისი შენახვის საფასურს ან პროდუქციით, ან ნაღდი ფულით იხდიან. თავად, როგორც წესი, ამ შემთხვევაში რჩებათ 10-12 კგ კარაქი და 1 თავი ყველი (პირუტყვის სულადობიდან გამომდინარე).

ამ დაავადებათა უმეტესობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასაც, რადგან ადვილად გადამდებია დაავადებული ცხოველების მოვლისას და მათგან მიღებული პროდუქტების მოხმარებისას; ასევე, მკვეთრად ეცემა დაავადებული პირუტყვის პროდუქტიულობა და, ამასთან, მისი რძის ან ხორცის გამოყენება საერთოდ აკრძალულია.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (მ. შ. CARE-ს შეტანილი აქვს დიდი წვლილი) მუშაობის შედეგად მოსახლეობის ნაწილს ჩამოუყალიბდა წარმოდგენა ძირითად ინფექციურ დაავადებებზე, მათ საშიშროებაზე, მკურნალობასა და პროფილაქტიკაზე. ამ ტიპის ინფორმაცია რთულად ვრცელდება პროგრამების არამიზნობრივ სოფლებში, მის დანერგვას ასევე ხელს უშლის აზერბაიჯანელი მოსახლეობის ტრადიციული კარჩაკეტილობა და ძალზე მრავალრიცხოვანი სოფლები (300-500 კომლზე მეტი). შესაბამისად, ფერმერთა დიდ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს, როგორ უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. მათ არ იციან, რომ რეგულარული შინაგანი და გარეგანი პარაზიტებისაგან დროულად და სწორად გათავისუფლებული საქონლის

პროდუქტიულობა 20-30% იზრდება. ფერმერებმა არ იციან, რომ ჩატარებული აცრის შემდეგ აუცილებელია დაყოვნება (მოცდა) გარკვეული დროით, მესაქონლეობის პროდუქციის გამოყენების შეზღუდვა, თუ როგორ უნდა გამოვლინდეს დაავადება ადრეულ სტადიაზე და რა ხერხებს უნდა მიმართონ, რათა გამოჯანმრთელებული პირუტყვის პროდუქტიულობა სწრაფად აღდგეს.

გარდაბნის ტერიტორიაზე, როგორც სხვა მოსაზღვრე ზონებში, განსაკუთრებით იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც დაავადებების გავრცელების რისკი მაღალია პირუტყვის გადარეკვის ტრასების გასწვრივ, სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო პირუტყვის სავალდებულო აცრებს ახორციელებს. პირუტყვის ვაქცინაცია თურქულზე წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე კეთდება. ციმბირის წყლულზე აცრები მხოლოდ ამ დაავადების აღმოჩენის შემდეგ, მათი შემდგომი გავრცელების თავიდან არიდების მიზნით ტარდება. 2012 წელს ციმბირული წყლულით (ჯილეხით) მუნიციპალიტეტში დაავადების შემთხვევების დაფიქსირების შემდეგ, ამ დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა ჩატარებული იყო ზაფხულის ცხელ დღეებში (ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსზე მეტი). ასეთ პირობებში პირუტყვის იმუნიტეტი ხშირად ვერ ვითარდება და აცრილი ცხოველი შესაძლებელია დაავადდეს ჯილეხით.

დღეისათვის მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზაფხულში შინ დარჩენილი საქონლის თურქულით დაავადების საწინააღმდეგო აცრები, რომელსაც სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო აფინანსებს.

გარდაბნის ფერმერებმა პროფილაქტიკისთვის თავადაც უნდა აცრან საკუთარი საქონელი ემკარის, პასტერელოზის, პიროპლაზმოზის და სხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ. ზოგიერთ სოფელში, სადაც ფერმერებმა დაავადებების და პროფილაქტიკის შესახებ ცოტა რამ იციან, ასეთი აცრები (მ. შ. ჯილეხის და პიროპლაზმოზის წინააღმდეგ) იწყება მხოლოდ მაშინ, როცა სოფელში დაავადება ჩნდება და პირუტყვი ეცემა. შესაბამისად, ასეთი აცრების ჩატარება უმეტეს შემთხვევაში დაგვიანებულია. ამ ყველაფერს ართულებს ის გარემოებაც, რომ გარდაბნის ტერიტორიაზე ადრე არსებობდა საქონლის სამარხები, სადაც დიდი ხნის წინ (60-80 წელი) ჯილეხით დაცემული პირუტყვი იყო დამარხული. დღეისათვის ეს ტერიტორიები აღარ არის დაცული, არ არის შემოღობილი და ზუსტი ადგილი სოფლად არავის ახსოვს, შესაბამისი რუქები დაკარგულია. საძოვრების უკმარისობის გამო პირუტყვი საბალახოდ სამარხების ტერიტორიაზეც დადის და შედეგად თითქმის ყოველ წელს გარდაბნის ტერიტორიაზე აღინიშნება ჯილეხით საქონლის და ზოგჯერ ადამიანების დაავადების შემთხვევები. ამ ფონზე ძალზე აქტუალური ხდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯილეხის საწინააღმდეგოდ პირუტყვის დროული და საყოველთაო ვაქცინაცია.

გარდაბნის ყველა სოფლის ფერმერმა უნდა გაითავისოს, რომ თუკი დროულად მიიღებს ძირითად პრევენციულ ზომებს, მისი წარმოება გახდება რენტაბელური, მიღებული პროდუქცია კი – მაღალხარისხიანი.

ვეტერინარია/კონსულტაციები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზებაზე. გარდა ამისა, დებულების თანახმად, სამსახურს ევალება კერძო ვეტერინარული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა. სამ-

სახური ქალაქ გარდაბანში მდებარეობს, მის შტატში ერთი ვეტერინარია. ამ სამსახურის ეგიდით მუნიციპალიტეტში შექმნილია ადგილობრივ ვეტერინართა 2 ბრიგადა, რომლებშიც 10 კერძო ვეტერინარი შედის. ამ ბრიგადებს ევალება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სავალდებულო აცრების ჩატარება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. სააგენტოს თანამშრომლები ცდილობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კერძო ვეტერინარებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ და გაცვალონ ინფორმაცია, რათა დროულად გამოავლინონ დაავადებები და დაგეგმონ ღონისძიებები მათი გავრცელების წინააღმდეგ. თუკი ფერმერმა საკუთარი ინიციატივით აცრა პირუტყვი, ამის შესახებ ვეტერინარები ატყობინებენ სააგენტოს. ინფორმაციის გაცვლა აცრებზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აცრების დაგეგმვისას, რამდენადაც აცრების შემდგომ მინიმუმ 14 დღის განმავლობაში სხვა ვაქცინაციის ჩატარება აკრძალულია.

კერძო ვეტერინარული სამსახური თავისი ლაბორატორიებით (დებულების თანახმად) პრაქტიკულად არ შექმნილა. ადრე არსებული ვეტპუნქტების და სამკურნალოების პრივატიზაციის და დაშლის შედეგად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფაქტობრივად განადგურდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათი კერძო ვეტექიმია, ამის გარდა, გარდაბანში არსებობს 9 მცირე სასაკლაო, სადაც 9 ვეტექიმი მუშაობს. ვეტექიმები დამოუკიდებლად, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებიან მოსახლეობას. ფასები არ არის ფიქსირებული და დამოკიდებულია ფერმერთა შესაძლებლობებსა და დაავადების სირთულეზე. ზოგჯერ მკურნალობა ტარდება ე. წ. კრედიტში. ვეტექიმები, ძირითადად, 40-60 წლის მამაკაცები არიან. მათ არ გააჩნიათ არავითარი სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თანამედროვე აღჭურვილობა. ხშირად პირუტყვს მოძველებული მეთოდებით და ნაკლებად ეფექტიანი პრეპარატებით მკურნალობენ (ანუ გამოძახების მომენტში ვეტექიმის ხელთ არსებული ვეტპრეპარატებით). როგორც წესი, ერთი ვეტექიმი ემსახურება რამდენიმე სოფელს რაც, მუნიციპალიტეტის დიდი ტერიტორიის და მრავალრიცხოვანი სოფლების გამო, საკმაოდ ძნელად ხელმისაწვდომია ფერმერთათვის, განსაკუთრებულად ბოლო წლებში, კერძო მეურნეობებში პირუტყვის გაზრდილი სულადობის ფონზე. ამავე დროს, კერძო ვეტექიმი, ვეტაფთიაქების თანამშრომლებთან ერთად, ფერმერთა განათლების ერთადერთი წყარო და იმედია დაავადებული საქონლის გადასარჩენად. როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ჩატარებული მკურნალობის ან პროფილაქტიკის შემდეგ ფერმერებმა არ იციან, თუ რა პრეპარატით უმკურნალეს პირუტყვს, ან რა დაავადების საწინააღმდეგოდ გაკეთდა ვაქცინაცია, რომ არაფერი ვთქვათ ვაქცინაციის ჩატარების წესების დაცვასა და ვაქცინის გამოყენებაზე, (იმ სოფლების გარდა, სადაც CARE, CTC და სხვა ორგანიზაციები მუშაობდნენ). ვეტერინარებთან ურთიერთობა, ტრადიციებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მამაკაცებს უწევთ.

თუკი გარდაბნის ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ხარისხიანი ვეტერინარული კონსულტაციები და პრაქტიკული მეცადინეობები, საქონლის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და გაიზრდება პროდუქტიულობა. მაგალითად, ზოგიერთი დაავადების დროული დიაგნოსტიკა პროდუქტიულობის დანაკარგებს 20-50%-ით ამცირებს (ტიმპანია, ინტოქსიკაციები, დისპეპსია, მასტიტები და სხვ.), ხოლო დროულად და თანამედროვე პრეპარატებით ჩატარებული დეჰელმინტიზაციითა და დეზინფექციით პროდუქტიულობის დანაკარგები მინიმუმ 30%-ით მცირდება.

ვეტერინარული აფთიაქები

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სულ 5 ვეტერინარული აფთიაქია, სადაც კერძო ვეტერინარებს და ფერმერებს სხვადასხვა ვეტპრეპარატების შეძენა შეუძლიათ (ვაქცინები, ანტიბიოტიკები, შინაგანი

და გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატები, ვიტამინები, მასტიტების და სხვა დაავადებების სამკურნალო პრეპარატები, პეპსინი, სადეზინფექციო საშუალებები და სხვ.), ამის გარდა, მოსახლეობას ვეტპრეპარატების შეძენა ქ. რუსთავშიც შეუძლია. მაგრამ, პრეპარატების არჩევანი მხოლოდ გარდაბნის ერთ და რუსთავის ვეტაფთიაქებშია, დანარჩენებში ყველა ამ პრეპარატის ერთი ან მაქსიმუმ ორი სახეობაა გაყიდვაში. ძირითადად, აფთიაქთა უმრავლესობაში თანამედროვე და ხარისხიანი ვეტპრეპარატები იყიდება, მაგრამ სოფლებში დადიან კერძო ავტოჯიხურები, რომლებიც ხშირად ფერმერებს სთავაზობენ გაურკვეველი ხარისხის და წარმოშობის მცენარეთა დაცვის საშუალებებს და ვეტპრეპარატებს, რომელთა გამოყენება ცხოველებისათვის, ეტიკეტის მიუხედავად, აკრძალულია. მაგალითად, პრეპარატი „კარატე“ ძლიერი ინსექტიციდია და შეიქმნა კარტოფილში კოლორადოს ხოჭოს მოსასპობად. მაგრამ ეტიკეტზე აწერია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია საქონლის გარეგანი პარაზიტებისაგან გასაბანად. პარაზიტებს ეს პრეპარატი კი სპობს, მაგრამ, ამავე დროს, ტოქსინები აღწევენ რძეში, რომლის გამოყენება 2-3 კვირის განმავლობაში აკრძალულია, ორგანიზმში გროვდება შხამები და ა. შ. სოფლების მოსახლეობის ნაწილი პროექტების მუშაობის შედეგად (CDI და სხვ.) უკვე ინფორმირებულია მისი მავნებლობის შესახებ. ფერმერთა დიდი ნაწილი, ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო, კვლავ იყენებს ამ პრეპარატს. ვეტერინარულ აფთიაქებში ძირითადად მამაკაცები მუშაობენ. ისინი ვეტექიმები არიან და ხშირადი ფერმერებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არჩევენ პრეპარატებს და უნიშნავენ მკურნალობას პირუტყვს. ვეტაფთიაქებში ფერმერები იღებენ ინფორმაციას არსებული წამლების და ვაქცინების, მათი გამოყენების წესების და დოზირების შესახებ. მაგრამ აუცილებელია ფერმერმა იცოდეს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება პრეპარატის შეძენისას, ანუ უნდა იცოდეს ვეტპრეპარატების შერჩევის ელემენტარული წესები, რაც განაპირობებს პირუტყვის ხარისხიან პროფილაქტიკა-მკურნალობას.

დაავადებების დიაგნოსტიკა

გარდაბანში არსებული სახელმწიფო ვეტერინარული ლაბორატორიის დაშლის შემდეგ ყველაზე ახლოს მდებარე ლაბორატორიები ქ. მარნეულსა და თბილისშია (ვაშლიჯვარი) განლაგებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვადასხვა საშიში დაავადების მასობრივი გამოკვლევა ყოველთვის რთული იყო შემდეგი მიზეზების გამო: მოსახლეობამ არ იცის რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს ბრუცელოზის და ტუბერკულოზის გავრცელება ადამიანისთვისაც; მუნიციპალიტეტში არ არსებობს ლაბორატორია და გამოკვლევების ჩატარება მხოლოდ მარნეულსა და თბილისშია შესაძლებელი; ხშირად მიუწვდომელია საჭირო სპეციალისტი სისხლის ასაღებად; ამას თან ერთვის ისიც, რომ სახელმწიფო პროგრამით ბრუცელოზსა და ტუბერკულოზზე საყოველთაო გამოკვლევის ჩატარება აღარ ფინანსდება. ამიტომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამგვარი გამოკვლევებისთვის დამატებით ფინანსურ ხარჯებს თავს არიდებს.

როგორც წესი ბრუცელოზით დაავადებაზე გამოკვლევას პერიოდულად ატარებენ მხოლოდ იმ სოფლების მაცხოვრებლები (პროგრამების ბენეფიციარები), რომლებიც პროგრამების მუშაობის შედეგად ინფორმირებულები არიან ბრუცელოზით პირუტყვის დაავადების შესახებ და ესმით, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ეს დაავადება მათი ოჯახების წევრებისთვის. ასევე, სოფლებში თითქმის არ იკვლევენ ბუღა-მწარმოებელს ბრუცელოზზე. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ რეგიონში არ არსებობს სანიტარიული სასაკლაო და დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ფერმერები დაავა-დებულ პირუტყვს ყიდიან ცოცხალი პირუტყვის 2 ბაზარზე (გარდაბანი და სართიჭალა).

თუკი საქონელი დაეცა და ექიმს გაუჩნდა ეჭვი საშიშ ინფექციურ დაავადებაზე (ჯილეხი, ცოფი, ინტოქსიკაცია და სხვ.), ვეტექიმი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სურსათის უვნებლობის სამსახურს. ამ შემთხვევაში სამსახური თავად აგზავნის პათმასალას ლაბორატორიაში და ხარჯებსაც თავად ანაზღაურებს. ასევე შესაძლებელია, განსაკუთრებით საშიში დაავადებების შემთხვევაში (ჯილეხი, ბრუცელოზი), ლეში ან სასაკლაოს ნარჩენები განადგურდეს ლილოს სპეციალიზებულ საწარმოში.

ყველა სხვა შემთხვევაში ვეტექიმი მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებით სვამს დიაგნოზს. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ მუნიციპალიტეტში ლაბორატორიის დაშლის შემდეგ არ არსებობს ადგილი (ე. წ. ბეიკერის ორმო-უტილიზატორი, ან სპეციალურად დაცული სამარხი) ლეშის გასანადგურებლად. შესაბამისად, დაცემული პირუტყვის ლეში იმარხება, უფრო ხშირად კი, იყრება სოფლის ნაგავსაყრელზე ან სხვა ადგილზე, რაც ასევე ხელისშემწყობი პირობაა დაავადების გასავრცელებლად.

გარდაბანში მუშაობს პირუტყვის 9 სასაკლაო (მ. შ. 2 – თელეთში, 1 – გარდაბანში, 3 –გამარჯვებაში, 1 – ქესალოში, 2 – გაჩიანში და სოფელ გამარჯვებაში – ცხვრის ერთი სასაკლაო). ამ სასაკლაოებში არსებობს ლაბორატორიები, სადაც მუშაობენ ვეტექიმები, მაგრამ იქ მხოლოდ ის პირუტყვი მოწმდება, რომელთაც ამ სასაკლაოებზე კლავენ. სასაკლაოებს არ გააჩნიათ უტილიზატორები, მაგრამ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება ლილოს უტილიზაციის საწარმოსთან, სადაც ნარჩენებს ანადგურებენ.

ამრიგად, რაკი მუნიციპალიტეტში არ არსებობს კვლევითი ლაბორატორია, სანიტარიული სასაკლაოები და ბეიკერის ორმოები, მოსახლეობა ცუდად ერკვევა ვეტერინარიაში, იზრდება საქონელში სხვადასხვა საშიში დაავადების გავრცელების რისკი და, როგორც შედეგი, საეჭვო ხდება მეცხოველეობის პროდუქტების კეთილსაიმედოობა, რომ არაფერი ვთქვათ მის რაოდენობასა და ხარისხზე.

პირუტყვის კვება

როგორც სხვა რეგიონებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ფერმერთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს თუ რას ნიშნავს პირუტყვის სრულფასოვანი კვება. როგორი უნდა იყოს პირუტყვის სხვადასხვა ჯგუფის რაციონი (ახალშობილი ხბო, მოზარდი, მეწველი ან მაკე ფური, ბუღა, ხარი), თუ როგორ უნდა შეფასდეს საკვების კვებითი ღირებულება და როგორი სახეობის საკვები უნდა მიიღოს საქონელმა წელიწადის სხვადასხვა დროს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების მოსახლეთა პირუტყვის რაციონი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია სათიბ-საძოვრების და სახნავ ფართობებზე, სოფელში წარმოებულ საკვებ კულტურებზე, ტრადიციებზე, და რაც მთავარია, მოსახლეობის ინფორმირებულობაზე პირუტყვის კვების რაციონის შესახებ. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, გარდაბანში ფურები თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში სარგებლობენ მოციონით, მაგრამ საძოვრებზე ბალახის უკმარისობაა და საბანაკოზე ყოფნის გარდა, საძოვრებზე ფურები მხოლოდ 2-2,5 თვე იკვებებიან, თუმცა არის სოფლები, სადაც საერთოდ არ გააჩნიათ საძოვრები (ამ შემთხვევაში საქონელი ძირითადად ბაგურ კვებაზეა და შესაბამისად მისგან მიღებული პროდუქციის თვითღირებულება იზრდება). დანარჩენ დროს ფურებს, ძირითადად, ნაყიდ თივას აჭმევენ (1,5-2 ტ 1 ძროხას წელიწადში) 1 „ტუკის“ (შეკვრის) ფასი დაახლოებით 3,5-6 ლარია და დამოკიდებულია

თივის მოსავალზე და საბაზრო ფასზე. უფრო იშვიათად ფერმერები თავად ამზადებენ თივას – 1 ტონა თივის დამზადება 250-300 ლარამდე ჯდება. თივის მოსავლიანობა გარდაბანში საშუალოდ 1.7-2,5 ტონაა ჰექტარზე. დამატებით, როგორც წესი, ქატოს აჭმევენ. იმ სოფლებში, სადაც ფერმერებს გააჩნიათ ინფორმაცია ფურების სრულყოფილი რაციონის და საკვებწარმოების შესახებ და/ან მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები, რაციონში კომბინირებული საკვები შეჰყავთ, რომელსაც იძენენ ან ამზადებენ პროექტების სპეციალისტებისგან შესწავლილი რეცეპტურის მიხედვით, ან თავიანთი ინფორმირებულობის საფუძველზე აძლევენ 2-3 კომპონენტიან კომბინირებულ საკვებს. საკვების დამზადებით და შეძენით, ძირითადად, მამაკაცები არიან დაკავებულნი.

უკანასკნელ წლებში სოფლად ფართოდ გაიზარდა იონჯის და სიმინდის ნათესების რაოდენობა, რაც უჩვეულოა აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის. ამ კულტურების ათვისებას ხელი შეუწყო არასამთავრობო ორგანიზაციების (მ. შ. CARE-ს) და სახელმწიფო პროგრამებით დანერგილმა სადემონსტრაციო საქმიანობამ. იონჯის თივა მდიდარია ცილებით და მისი კვებითი ღირებულება ბალახნარევის თივაზე უფრო მაღალია. იონჯის სარწყავი ფართობები ერთ სეზონზე 3-5-ჯერ ითიბება. ასევე ზოგიერთ სოფელში მოჰყავთ საცოცხე სორგო, რომელიც სხვა მარცვლოვნებთან ერთად კარგი კონცენტრირებული საკვებია. ამ საქმიანობას, ჩვეულებრივ მამაკაცები ეწევიან. სამწუხაროდ, კომბინირებული საკვებით პირუტყვის გამოკვების პრაქტიკა არ არის ფართოდ გავრცელებული ბევრ სოფელში, ძირითადად, საქონელს დამატებით აძლევენ უხარისხო ქატოს და მარცვლოვნების ნამჯას და, შესაბამისად, ფურების წველადობა დაბალია (საშუალო წლიური 800 -1100 ლიტრი). თუ მოსახლეობას ეცოდინება კომბინირებული საკვების დამზადების რეცეპტურა, ისინი საკუთარი რესურსებით, უმნიშვნელო დამატებითი ინვესტირებით შეძლებენ სრულფასოვანი კომბინირებული საკვების დამზადებას, რომელთა კომპონენტები შეიძლება იყოს: არაკონდიციური ხორბალი, დაღერღილი სიმინდი, ქერი, შვრია, იონჯის თივის ფქვილი, მარილი, ხორბლის ქატო, ვიტამინები (კომპლექსები იყიდება ვეტაფთიაქებში და მათი ფასი ხელმისაწვდომია), შესაძლებლობიდან გამომდინარე, ცოტა რაოდენობით (5%) მზესუმზირის კოპტონი. ამგვარი კომბინირებული საკვების შეყვანა (მინ. 3 კგ დღეში) მეწველი ფურების რაციონში, წვნიან საკვებთან ერთად, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ზრდის წველადობას 50-60%-ით. რაც შეეხება წვნიან საკვებს, ადგილობრივი ფერმერები იყენებენ მათ მეურნეობებში წარმოებულ არაკონდიციურ კომბოსტოს, ყაბახს, გოგრას და სხვა ბოსტნეულის ნარჩენებს, რომლებსაც ძალიან მცირე და, შესაბამისად, არასაკმარისი რაოდენობით აძლევენ საქონელს. ამავე დროს, ამ ზონაში სარწყავ ფართობებზე (შეიძლება საკარმიდამო 0,05-0,1 ჰა ნაკვეთის გამოყენება) თავისუფლად შესაძლებელია ტურნეფსის მოყვანა. ეს საკვები კულტურა მაღალ მოსავლიანია (40-60 ტ/ჰა), არ საჭიროებს დასაწყობებას და მისი მოყვანა არ ღირს ძვირი. ტურნეფსის შეყვანა (დაახლ. 10 კგ-მდე დღეში) მეწველი ფურების რაციონში, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვნად ზრდის წველადობას და აუმჯობესებს ფურების ჯანმრთელობის მდგომარეობას და პროდუქციის ხარისხს. გარდაბნის სარწყავ ფართობებზე შესაძლებელია წელიწადში ტურნეფსის 2 მოსავლის მიღება.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, საძოვრების სიმცირის გამო პირუტყვი გაყავთ სხვა მუნიციპალიტეტების საზაფხულო საძოვრებზე (წალკა, ნინოწმინდა). შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ხშირია საქონლის მიგრაციები, რისთვისაც მოწყობილია შესაბამისი გადასარეკი ტრასები. სასოფლო\სამეურნეო ცხოველთა საძოვარი და გადასარეკი ადგილების განსაზღვრის დროს გათვალისწინებილი უნდა იქნეს და განხორციელდეს ღონისძიებანი გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოსა და გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, წყლის სასმელი

ადგილების შესანარჩუნებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აგრეთვე, გარეულ ცხოველთა ნორმალური არსებობისათვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე უბნების ხელშეუხებლობა (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. მუხლი 17).

აუცილებელია არსებული სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება (კოლბოხებისგან, ქვებისგან, ბუჩქნარისგან, შხამიანი ბალახებისგან ზედაპირის გაწმენდა, ბალახების შეთესვა, სასუქების შეტანა და სხვ.), მაგრამ ეს ღონისძიებები დამატებით მნიშვნელოვან ინვესტიციას მოითხოვს. როგორც მინიმუმ, საძოვრებზე უნდა მოისპოს შხამიანი ბალახები. ეს ბალახები ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით (ამ დროს ბალახის საფარი დაბალია) თავს იჩენს საძოვრებზე და მშიერი საქონელი მათ სხვა ბალახთან ერთად ჭამს; შედეგად პირუტყვს უვითარდება მძიმე ინტოქსიკაციები, ტიმპანიის (გაბერილობის) და წინაკუჭების ატონიის და დისპეპსიის ფონზე. პირუტყვის მოწამვლების თავიდან ასაცილებლად შხამიანი ბალახების მოსპობასთან ერთად (რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული) საჭიროა საქონელი დილით არ გაიშვას საძოვარზე მთლად მშიერი (უნდა მიეცეს ცოტა რაოდენობით კონცენტრირებული საკვები ან თივა), რათა ძოვებისას ცხოველმა შეძლოს ბალახების გარჩევა და არ მოიწამლოს.

რძის დამზადება

ადგილობრივი ჯიშის ძროხა წლის განმავლობაში საშუალოდ 240 დღე იწველება. ზაფხულის მანძილზე ძროხა, საშუალოდ, 7-8 ლიტრ (მაქსიმუმ 10 ლიტრ) რძეს იძლევა. შემოდგომიდან რძის რაოდენობა იკლებს, ზამთარში კი ნახევრდება და 3 ლიტრამდე ჩამოდის. საშუალოდ, წლის განმავლობაში, ერთი ძროხა 900-1200 (მაქსიმუმ 1800) ლიტრ რძეს იძლევა, რაც ძალიან ცოტაა. შესადარებლად, ევროპაში საშუალო დღე-ღამური წველადობა 25-35 ლიტრია და ლაქტაცია მინიმუმ 300 დღე გრძელდება.

პირუტყვს ხელით წველიან. მცირე ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც 2-5 ძროხა ჰყავთ, ამას საკუთარი ძალებით აკეთებენ. შედარებით დიდ ფერმებში მწველავად ქალებს ქირაობენ. ერთი ძროხის მოწველაში მწველავები თვეში 20 ლარს იღებენ. ქალები საშუალოდ დღეში 10-15 ძროხას წველიან.

მოსახლეობაში მოსაწველი მექანიკური საშუალებები ნაკლებად პოპულარულია მათი სიძვირის გამო. ამის მეორე მიზეზია ფერმერებში მცდარი ინფორმაცია, რომ მექანიკური საშუალებები საქონლის ცურს აზიანებს, რაც სხვადასხვა დაავადებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მოწველის დროს მწველავები, როგორც წესი, მკაცრად არ იცავენ პირად და რძის მიღების ჰიგიენას. საერთოდ, მერძეული მეძროხეობის ზოოჰიგიენური ნორმები უხეშად დარღვეულია კერძო მსხვილ და მცირე მეურნეობებში (შენობა-ნაგებობები, ვენტილაცია, სადგომები, მათი პარამეტრები, საწუნწუხე ორმო, ნაკელსაცავი, საძროხის მიკროკლიმატის ჰიგიენური ნორმები, საკვებურები, პერსონალის და რძის წარმოების ჰიგიენა). ფერმერებმა ცოტა რამ იციან ზოოჰიგიენური წესების დაცვის შესახებ. და თუ ყველა წესების დაცვა ხშირად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ელემენტარული ნორმების დაცვა და სადგომში ფანჯრების (ვენტილაციის) მოწყობა საკმაოდ აუმჯობესებს პირუტყვის ჯანმრთელობას და მიღებული პროდუქციის ხარისხს. საერთოდ, სოფლის მეურნეობაში ცხოველთა მოვლა-შენახვის და პირველადი პროდუქციის მიღების ზოოჰიგიენური ნორმების დაცვა განაპირობებს ადამიანისთვის უსაფრთხო მეცხოველეობის პროდუქტების მიღებასა და მათი შემდგომი გადამუშავების კეთილსაიმედოობას.

ყველის დამზადება

მცირე ფერმერულ მეურნეობებში მოწველის შემდეგ ქალები ყველის დამზადებაზე გადადიან. ყველის ყველაზე გავრცელებული სახეობა, რომელსაც გარდაბანში აკეთებენ, ე. წ. ქარხნული, გლეხური ყველი და სულგუნია.

ბაზარზე არსებული მოთხოვნილების შესაბამისად, ფერმერები ძირითადად, ერთი-ორი სახის ყველს, უმეტესად, საკუთარი ძალებით, კუსტარულად ამზადებენ.

ვინაიდან რძე მალფუჭებადი პროდუქტია, ყველი მოწველიდან მოკლე პერიოდში მზადდება. ერთი კგ ყველის მისაღებად 6-8 ლიტრი რძეა საჭირო. რძე ცხელდება 32-380-მდე. შემდეგ შესადედებლად ემატება ფერმენტი პეპსინი (ან სვანური სულგუნის დამზადების შემთხვევაში მაჭიკიდან შინ დამზადებული ფერმენტი „ყველის დედა“), რომელიც რძეს ჭრის. შემდეგ საჭიროა რძის ტემპერატურის შენარჩუნება რძის შედედებამდე ანუ ცილოვანი მასის გამოყოფამდე, დაახლოებით 20-30 წუთი. შემდეგ მასას წურავენ და ანაწილებენ ფორმებში.

სულგუნი მზადდება თხელ ნაჭრებად დაჭრილი ჭყინტი ყველის მოხარშვით. ნაჭრებს ათავსებენ ცხელ წყალში და ურევენ, სანამ წელვად ცილოვან მასას არ მიიღებენ. შემდეგ იღებენ წყლიდან და მასას ანაწილებენ ფორმებში.

ყველის საგემოვნო და სხვა ორგანოლეფტიკური თვისებები დამოკიდებულია რძის ხარისხსა და ცხიმიანობაზე, ყველის (სულგუნის) დამზადების ტექნოლოგიური პროცესის და ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. ხშირად ოჯახებში იყენებენ ყველის დამზადების ტრადიციულ რეცეპტურას, რომელიც გადადის თაობიდან თაობამდე და ითვლება ოჯახების საიდუმლოდ.

ყველის შენახვა

ფერმერები ყველს მარილიანი წყლით სავსე ბეტონის აუზებში ან პლასტმასის კასრებში ინახავენ. ბეტონის აუზებში ყველი რამდენიმე თვე, ხოლო პლასტმასში დაახლოებით ერთი თვე ინახება. იმისთვის, რომ ყველი არ გაფუჭდეს, საჭიროა ის ბოლომდე იყოს დაფარული მარილიანი წყლით. ყველის ქარხნების უმეტესობაც ყველის შენახვის ამავე მეთოდს იყენებს.

ფერმერებს ურჩევნიათ ყველი რამდენიმე თვის მანძილზე შეინახონ. მათი ინფორმაციით, სამ თვეზე მეტი ხნით ყველის მარილწყალში შენახვის დროს ბრუცელოზის ბაქტერია კვდება. ამავე დროს, ყველი წონასაც იმატებს, ერთ ტონაზე – 70-80 კგ-ს, რაც ასევე მომგებიანია.

ფერმერებს არ გააჩნიათ ინფორმაცია ფასიან საწყობებსა და მაცივრებზე, სადაც შეიძლება ყველის შენახვა. თუმცა ამგვარი ცალკე საწყობები გარდაბნის ტეროტორიაზე არც არსებობს.

რძის და ყველის გაყიდვა

გარდაბნის, რუსთავის და თბილისის ბაზრებზე მოსახლეობის ნაწილი ყიდის როგორც რძეს, ასევე რძის პროდუქტებს. ფერმერები ყველს, განსაკუთრებით კი სულგუნს, უმეტესად ადგილზე ყიდიან შუამავალ პირებზე, რომლებიც შემდგომ თვითონ უკეთებენ პროდუქციას რეალიზაციას თბილისში, რუსთავსა და ბათუმში.

მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი დიდი რძის მიმღები ქარხანა ე.წ. გიგანტის დასახლებაშია და რძეს სოფლებში ამ ქარხნის სპეციალიზირებული ავტოცისტერნებით აგროვებენ.

აღსანიშნავია, რომ ჩასაბარებელი რძის რაოდენობა ზაფხულშიც დაბალია, საქონლის ნაწილი მთაში იმყოფება და აქ რძისგან ყველს და კარაქს ამზადებენ. სოფლად დარჩენილი ფურების წველადობა, საკვების უკმარისობის გამო, იმდენად დაბალია, რომ მიღებული რძე ხშირად ოჯახის საჭიროებებსაც ვერ აკმაყოფილებს.

ყველისა და რძის სხვა ნაწარმის რეალიზაციაზე, ძირითადად, ქალები მუშაობენ.

ყველის ქარხნები

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ყველისა და რძის ნაწარმის ერთი დიდი ქარხანა „სოფლის ნობათი“ და ორი მცირე ზომის ქარხანა (მაგ., სოფ. ლემშვენიერაში). მცირე ქარხნები მხოლოდ გაზაფხულზე და ზაფხულში მუშაობს. ისინი ადგილობრივი მოსახლეობისგან ყიდულობენ რძეს ან ჭყინტ ყველს (სულგუნის დასამზადებლად), რომელთაც თავიანთ საწარმოებში ამუშავებენ. ქარხანაში მიტანისას ლაქტოსკანის მეშვეობით, აპარატურის ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რძე მოწმდება ცხიმიანობაზე, მშრალი ნივთიერების შემცველობაზე, დამატებულ წყლის არსებობაზე, მჟავიანობაზე (PH) და სხვ., რძის ხარისხს პირდაპირ უკავშირდება რძის შესყიდვის ფასი და, შესაბამისად, ფერმერები დაინტერესებულები არიან ხარისხიანი რძის ჩაბარებით. „სოფლის ნობათი“-ს ქარხანაში რძის შესამოწმებლად სპეციალური ლაბორატორია არსებობს.

ხორცის წარმოება

ქვემო ქართლის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, გარდაბანში ყველაზე მეტი მსხვილფეხა საქონელია – 32,000 სული. გარდაბანში არის 9 სასაკლაო – ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით. გარდაბანში სასაკლაოს არსებობას ერთი დიდი უპირატესობა აქვს – სიახლოვე საქართველოში ყველაზე დიდ ბაზართან, თბილისთან. ისეთი მალფუჭებადი პროდუქტისთვის, როგორიც ხორცია, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივ ფერმერებს შეუძლიათ თვითონ დაკლან საქონელი სასაკლაოზე, ან გამოიყენონ ყასბის სერვისი. ყველა დაკლული საქონლის ხორცს უტარდება შესაბამისი ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში შეიმჩნევა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოების კლების ტენდენცია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ჩანს, რომ საქართველოს მასშტაბით 2006 წელს 33 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი იწარმოებოდა, ხოლო 2012 წლისთვის ამის ნახევარიც არ იწარმოება – 16.6 ათასი ტონა. უფრო სწრაფი ტემპებით ხდება ხორცის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში. 2006 წელს ქვემო ქართლში 7.4 ათასი ტონა ხორცი იწარმოებოდა, რაც საქართველოში ყველაზე დიდი მაჩვენებელი იყო. შედარებისთვის, იმერეთში 5.1 ათასი ტონა ხორცი იწარმოებოდა, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 3 ათასი ტონა. 2012 წელს შიდა ქართლში აწარმოეს 2006 წლის მაჩვენებლის მეოთხედზე ნაკლები – 1.8 ათასი ტონა.

დიაგრამა 2: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება რეგიონების მიხედვით (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, 2006-2012 წლების მონაცემები.

წარმოების შემცირებასთან ერთად, 2010 და, განსაკუთრებით, 2011 წლიდან გამკაცრდა ვეტერინარული მოთხოვნები. პირუტყვის დაკვლა მხოლოდ ლიცენზირებულ სასაკლაოებზე გახდა შესაძლებელი. შედეგად, ხორცის გამყიდველებისთვის უფრო მომგებიანი გახდა ხორცის იმპორტი. 2011 წელს დაახლოებით 72 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხორცი იყო შემოტანილი, მაშინ როცა 2012-ში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 111 მილიონი აშშ დოლარამდე[10].

ფინანსური რესურსები

გარდაბნის მუნიციპალიტეტში „საქართველოს ბანკის“, „კრედოს“, „ლიბერთი ბანკისა“ და „ტაობანკის“ ფილიალებია. გარდა ამისა, ფერმერები სარგებლობენ ქალაქ რუსთავში მდებარე ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებითაც.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო მოთხოვნა კრედიტებზე არცთუ ისე მაღალია. თუმცა, ისინი, ვინც ამ სერვისით სარგებლობენ, კრედიტის უზრუნველსაყოფად დებენ გარდაბანში მდებარე ბინებს, ხოლო სოფლებში – ფერმებსა და პირუტყვს.

სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო სესხებით, ძირითადად, მსხვილი ფერმერები არიან დაინტერესებულნი, თუმცა კრედიტის მიღებაზე განაცხადის შეტანიდან თანხის მიღებამდე ხშირად დიდი დრო გადის (განხილვა, ექსპერტის ადგილზე მისვლა, სიმძლავრეების შეფასება და სხვ.), რაც სასოფლო სამეურნეო სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება დაგვიანებული იყოს.

როგორც ზემოთ მოცემული ბაზრის სქემიდან ჩანს, მასში არ მონაწილეობენ იმპორტიორები, სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობები და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები. მუნიციპალიტეტში

10. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ახალი ან გაცივებული, ახალი ან გაცივებული 2011-2012 წლის მონაცემები

სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობებისა და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია გარდაბნის მუნიციპალიტეტში ხორცის პროდუქტების წარმოების მასშტაბების ზრდისა და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში იმპორტიორების არარსებობას, ეს გარემოება ამ შემთხვევაში (მოკლევადიან პერიოდში) შესაძლოა ხელშემწყობი ფაქტორიც იყოს ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით.

რძის (ყველის) და ხორცის წარმოება - საკანონმდებლო ანალიზი

გარდაბნის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზმა გამოავლინა, რომ ხორცის და რძის (ყველის) წარმოება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ მიმართულებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ კანონმდებლობას, რომელიც ყველის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

ყველის წარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, 2012 წლის 7 მარტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №176 სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 3 ივლისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №430 ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 31 დეკემბერი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N173 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, 2010 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №282 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ, 2010 წლის 10 სექტემბერი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 144 სურსათის წარმოების სფეროში მიკვლევადობის საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო კრიტიკული წერტილების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ, 2006 წლის 7 აგვისტო.

ზოგადი საკითხები

რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება

ჩვეულებრივი ბიზნესების გარდა, საქართველოს სასურსათო კანონმდებლობა ასევე გამოყოფს „ოჯახური წარმოების სუბიექტს“ და „მცირე ბიზნესს“. ოჯახური წარმოების სუბიექტია ფიზიკური პირი, „რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით“. ამ კატეგორიაში მოიაზრება ტიპიური გლეხი, რომელიც სახლში აწარმოებს ყველს და დროდადრო ყიდის რძის ნაწარმს. ის ბიზნესები კი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს, ითვლებიან „მცირე ბიზნესად“ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, საოჯახო, მცირე და ჩვეულებრივი ბიზნესებისთვის განსხვავებული ჯარიმების ოდენობებია დაწესებული. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო და მცირე ბიზნესებს არ ეხებათ საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ. ეს წესი ასევე არ ეხებათ იმ ბიზნესებს, რომლებიც მთაში აწარმოებენ ყველს, ან ტრადიციულ მეთოდებს მიმართავენ ყველის საწარმოებლად. მაგალითად, ეს სპეციალური წესი არ შეეხება სამცხე-ჯავახეთში ძველი მესხური მეთოდით „ტენილი“ ყველის დამზადებას.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კანონმდებლობა ასევე განასხვავებს ორი სახის ხარვეზს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში. პირველი ტიპის ხარვეზი არის „არაკრიტიკული შეუსაბამობა“, როცა ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობას პირდაპირი საფრთხე არ ექმნება და ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ბიზნესის წარმოების პროცესის შეჩერების გარეშე. მეორე ტიპის ხარვეზია „კრიტიკული შეუსაბამობა“. ასეთ შემთხვევაში ხდება ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისთვის სახიფათო სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირება და ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია საწარმოო პროცესის შეჩერების გარეშე (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

ბიზნესის დაწყება

ბიზნეს ოპერატორი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესი (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 13). თუ ბიზნესი აწარმოებს სურსათს/ცხოველურ საკვებს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, მაშინ ის დაჯარიმდება 300 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 64). ზოგადად, ბიზნესის დარეგისტრირების წესი გაწერილია საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ, მუხლები 4-8.

სურსათის უსაფრთხოება

ბიზნეს ოპერატორს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთარი პროდუქციის უსაფრთხოება იმ კრიტერიუმების და პრინციპების შესაბამისად, რაც გაწერილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში. თუ ბიზნეს ოპერატორს აქვს ეჭვის საფუძველი პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, მაშინ მან უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას – აღკვეთოს პროდუქტის განთავსება ბაზარზე და გამოითხოვოს უკვე განთავსებული პროდუქცია. ასევე, ბიზნეს ოპერატორმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს სურსათის სააგენტოს პრობლემის და მიღებული ზომების შესახებ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 14). თუ ბიზნეს-ოპერატორი განაგრძობს თავისი პროდუქციის გაყიდვას და დადგინდა, რომ მას ჰქონდა ეჭვი პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაშინ ის დაჯარიმდება 1000 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 65).

ხორცის ან რძის პროდუქტის წარმოებისას, ბიზნეს ოპერატორი (გარდა ოჯახური წარმოების სუბიექტისა) ასევე ვალდებულია მოიკვლიოს პროდუქტის დამზადებისთვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებლები. ბიზნეს ოპერატორს უნდა ჰქონდეს იმ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, ვინც მას აწვდიან რძეს, პეპსინს, მარილს და სხვა საჭირო ნივთიერებებს (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 17). ეს კეთდება საიმისოდ,

რომ შემუშავდეს რისკების მართვის ეფექტიანი მექანიზმები, რათა სწრაფად და მარტივად იყოს შესაძლებელი პრობლემის გამოვლენა და შესაბამისი ზომების მიღება. თუ სურსათი/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

წარმოება

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია ნებართვა ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტისა და ტრანზიტისთვის. ამგვარად, თუ ბიზნეს-ოპერატორი გადაწყვეტს საქონლის იმპორტს, რათა მოაშენოს საკუთარი ფერმა და უზრუნველყოს რძის სტაბილური მარაგი საკუთარი ყველის ქარხნისთვის, მაშინ მას დასჭირდება შესაბამისი ნებართვა. ნებართვის მიღების წესები გაწერილია საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში და საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანასა და გადამუშავებასათან დაკავშირებული საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. გასათვალისწინებელია, რომ ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დაცვა (გარემოზე ზემოქმედების შესახებ. მუხლი 5).

ბიზნეს ოპერატორებს რომლებიც ეწევიან რძის გადამუშავებას, კანონმდებლობა ავალდებულებს ჰიგიენის და სანიტარიის ძირითადი წესების დაცვას, მაგალითად – აღჭურვილობის სუფთად შენახვა და რძის შესანახი ადგილის გამოყოფა ცხოველთა სადგომისგან. ჰიგიენის და სანიტარიის დეტალური მოთხოვნების ნახვა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის №90 დადგენილებაში ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, 43-ე მუხლი. გარდა ამისა, ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ნორმებს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ). გასათვალისწინებელია, რომ სამეურნეო ობიექტის პრივატიზებისას ახალი მეპატრონე სრულად იღებს პასუხისმგებლობას იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ მეპატრონეს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხლი 21).

კანონმდებლობის მიხედვით, თუ რძე გადამუშავდება მოწველიდან 2 საათის განმავლობაში, მაშინ მისი გაგრილება არ არის აუცილებელი. თუ გადამუშავება 2 საათის შემდეგ იგეგმება, მაშინ ნედლი რძის შენახვის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 8 გრადუსს. ტრანსპორტირების შემთხვევაში (მაგალითად, ყველის ქარხანა ყიდულობს რძეს ადგილობრივი ფერმერებისგან), დანიშნულების ადგილას მიწოდებისას რძის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრადუსს. ამის შემდეგ, თუ რძის გადამუშავება არ იგეგმება შემდეგი 4 საათის განმავლობაში, მაშინ ის უნდა გაგრილდეს 6%-მდე და შეინარჩუნოს ეს ტემპერატურა მანამ, ვიდრე რძე არ გადამუშავდება. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ).

ხორცის წარმოების შემთხვევაში, საქონელი უნდა დაიკლას სასაკლაოზე. ბიზნეს-ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება სასაკლაომდე. წესები დეტალურადაა გაწერილი საქართველოს მთავრობის №90 დადგენილებაში ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, მეორე თავში.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ სურსათი/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელ-მწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების დროს, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს გარეულ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების ღონისძიებანი (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. მუხლი 18). მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცხოველთა სამყაროსა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის მოთხოვნები (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. მუხლი 22).

გაყიდვები

გაყიდვისას, სურსათის/ცხოველის საკვების პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ეტიკეტი (სურ-სათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 18).

ხორცის ან რძის ნაწარმის ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, მეწარმემ უნდა შეავსოს შესაბამისი ფორმა. რომელიც მოცემულია საქართველოს მთავრობის №430 დადგენილებაში ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მეხუთე ნაწილი:
ინიციატივები გარდაბნის მუნიციპალიტეტში

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა ინიციატივები, რომელთა განხორციელება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი. ინიციატივები შეირჩა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ინიციატივის განხორციელება ხელს შეუწყობს ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- იგი მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- იგი შეესაბამება განვითარების ხედვას და პრიორიტეტებს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სულ სამი ინიციატივა შეირჩა, რომლებიც დეტალურად ქვემოთაა განხილული:

ინიციატივა #1: საქონლის სახორცე და მერძეული ჯიშების გაუმჯობესება
მუნიციპალიტეტში მეხორცეობის და მერძევეობის განვითრების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა არსებული საქონლის ჯიშების გაუმჯობესება, რაზეც წლების განმავლობაში არავინ მუშაობდა და შედეგად მთელ საქართველოში ძირითადად გავრცელებულია დაბალპროდუქტიული საქონელი, როგორც წველადობის, ისე წონის მიხედვით. ჯიშების გაუმჯობესება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომლებიც ქვემოთაა ჩამოწერილი:

- **საქონლის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვა და მის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. დღესდღეობით, ხელოვნური განაყოფიერების შესახებ მოსახლეობა ძალიან ცუდად არის ინფორმირებული.** ხელოვნურ განაყოფიერებას, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია გააუმჯობესოს არსებული საქონლის ჯიშები, თუმცა მოსახლეობა დიდი სიფრთხილით ეკიდება რეგიონში ნაკლებად აპრობირებულ და მათთვის ინოვაციურ იდეას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ფართო საინფორმაციო კამპანიის წარმოება და სადემონსტრაციო ცდები, რომ მოსახლეობას გაუჩნდეს ნდობა ხელოვნური განაყოფიერების მიმართ. კიდევ ერთი უპირატესობა, რაც ხელოვნურ განაყოფიერებას გააჩნია, არის რძის წარმოების ციკლის უკეთესი დაგეგმარების შესაძლებლობა. ფერმერებს მიეცემათ საშუალება ზამთარშიც ჰქონდეთ რძე, როცა მისი ფასი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ზაფხულში.

- **ბუღამწარმოებლებისა და ჯიშიანი ფურების შემოყვანა.** ამ კომპონენტის ამოქმედებისთვის უპირველესად უნდა შეისწავლონ ალტერნატივები – რომელი ჯიშების შემოყვანა იქნება უფრო ხელსაყრელი გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის, რა რაოდენობით და საიდან უნდა შემოიყვანონ ცხოველები. ასევე, ადგილზე უნდა მომზადდეს ინფრასტრუქტურა, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქონლის მოვლის შესაბამისი პირობები.

- **ფერმერთა ინფორმირებულობის ამაღლების ხელშეწყობა ბუღამწარმოებლებისა და ჯიშიანი ფურების მოვლასთან დაკავშირებით.** ინიციატივის ფარგლებში, სპეციალურად შერჩეული ზოოვეტერინარები პერიოდულად უნდა შეხვდნენ ფერმერთა ჯგუფებს და გააცნონ მათ

(კონსულტირება) ბუღამწარმოებლებისა და ჯიშიანი ფურების კვების, შეჯვარებისა და სხვა ზოოტექნიკური პირობების დაცვის წესები.

ინიციატივა #2: საქონლის დაავადებების კონტროლი და მართვა

საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა რეგიონში ცხოველთა დაავადებების კონტროლი დიდი პრობლემაა. თითქმის ყოველ წელს ვრცელდება ისეთი დაავადება, როგორიცაა „თურქული“. ასეთი მძიმე სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, ეს ინიციატივა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- **დაავადებების დიაგნოსტიკა.** აუცილებელია დაავადებების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება მოსახლეობაში. ფერმერებმა უნდა იცოდნენ მარტივი ნიშნები, რომლითაც შეიძლება გარკვეული დაავადებების აღმოჩენა. გარდა ამისა, აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის და ლაბორატორიის მოწყობაც, სადაც მოსახლეობას შეეძლება უტყუარად შეამოწმოს საკუთარი საქონლის ჯანმრთელობა. მსგავსი ლაბორატორიები ძალიან ცოტაა საქართველოში.

- **დაავადებების პრევენცია.** ინფორმაციის გავრცელების გარდა, ასევე საჭიროა დროული აცრები და დაავადებების სისტემური კონტროლი, რაც უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით.

- **დაავადებების მკურნალობა.** გამოვლენილ დაავადებებს სჭირდება დროული რეაგირება და ზომების მიღება. ხშირად, მოსახლეობას დიდი ხნის განმავლობაში ჰყავს დაავადებული პირუტყვი. ზოგიერთი ფერმერი კი დაავადების გამოვლენისთანავე ყიდის მას ბაზარზე. შედეგად, არაინფორმირებულმა ფერმერებმა შეიძლება დაავადებული საქონელი შეიძინონ.

ინიციატივა #3: საქონლის კვების გაუმჯობესება

საქონლის ჯიშების გაუმჯობესებასთან და დაავადებების კონტროლთან ერთად, აუცილებელია ყურადღების მიქცევა საკვების კომპონენტზე. სხვა მხრივ, რძის პროდუქტიულობა ვერ გაიზრდება.

- **კომბინირებულ საკვებსა და დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.** ხშირად, ზამთარში, ფერმერებს მხოლოდ თივაზე მიუწვდებათ ხელი. შესაბამისად, საქონელი იკლებს წონაშიც და წველადობაშიც. ამიტომ აუცილებელია საკვებდანამატების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, ე. წ. „კომბი“ (კომბინირებული საკვები) და „სილოზი“. უნდა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია, რომ მოსახლეობამ კარგად გაიგოს, რამდენად გამართლებულია ხარჯების გაწევა ასეთი საკვებისთვის.

- **საქონლის ახალი საკვები კულტურების გავრცელება.** საქართველოში თითქმის არ ვრცელდება საქონლისთვის სასარგებლო კულტურები. ამ მიმართულებით, საჭიროა კვლევითი საქმიანობა და გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის შესაფერისი კულტურების იდენტიფიცირება და დანერგვა.

- **ფერმერების ინფორმირება საქონლის კვების და კომბინირებული საკვების დამზადების შესახებ.** აუცილებელია პირუტყვთა კვების ექსპერტებმა საინფორმაციო კამპანია აწარმოონ მოსახლეობაში, რადგან შინაურ პირობებშიც შესაძლებელია იმაზე მაღალი ენერგეტიკული ღირებულების საკვების მომზადება, ვიდრე უბრალოდ თივაა.


გარდაბნის
მუნიციპალიტეტი
მიწის საფარი
ტყე
წყალი
ბაღები
ბალახოვანი
ტყიანი
ბაღები
ბალახოვანი
ბალახოვანი
ბალახოვანი
ბალახოვანი
0 1 2 4 6 8 10 km
მასშტაბი: 1 : 250 000

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) თვალსაზრისს.